თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №8

თბილისი, 13 ოქტომბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ქოიავა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – შავლეგ ჭყოიძე;
- „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – გურამ მაჭარაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;
- OSCE/ODIHR – ანა კაკალაშვილი;
- USAID – ხათუნა კუნჭულია;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – ირაკლი ჭანტურიძე;
– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – პაატა ყვავაძე;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი” (ICDI) – ანა აბულაძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
– „სამოქალაქო ჩართულობის და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ქეთი სალაძე;
– „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;
– „პლატფორმა სამოქალაქო ინიციატივა“ – მაკა ბენაშვილი;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:10 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებული ინფორმაციის განხილვა;
2. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
3. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და მასზე შესაბამისი უწყებების მიერ

განხორციელებული რეაგირებების განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „ლელოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის განცხადებას წყალტუბოში საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ღონისძიებაზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის დასწრების თაობაზე, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, განცხადებაში მითითებული გარემოებები არასწორად არის განმარტებული. კანონმდებლობის შესაბამისად, მერი იღებს გადაწყვეტილებას საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, წუალტუბოს საპატიო მოქალაქის მოწმობის გადაცემა, როგორც წესი, ხდება ხოლმე საზეიმო ვითარებაში. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ღონისძიებას ესწრებოდნენ ხსენებული მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, საპატიო მოქალაქეები, სხვა პირები. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ბატონი გივი ჭიჭინაძე, როგორც ხელოვნების დარგის დამსახურებული მოღვაწე. მან ერთ-ერთ პირს სიმბოლურად გადასცა საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობა, როგორც ზემოაღნიშნული წოდების მქონე პირმა და არა როგორც საარჩევნო სუბიექტის კანდიდატმა. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ღონისძიებაზე არანაირი პოლიტიკური შინაარსის სააგიტაციო მასალის გამოყენებას ან წინასაარჩევნო განცხადებებს ადგილი არ ჰქონია და გაიმართა მხოლოდ და მხოლოდ საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიალი.

შემდეგი ინფორმაცია შეეხებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელ გიორგი ომნიძის მიერ თავისი თანამშრომლებისთვის მოწოდებას („ლელოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ თორნიკე ართქმელაძის ოფიციალურ ვებგვერდზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის მხარდამჭერი კომენტარების დაწერა). როგორც ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა მუნიციპალიტეტის განმარტებაზე დაყრდნობით, რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ზემოდასახელებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა თავისი თანამშრომლებისთვის რაიმე სახის მოწოდებას კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის კანდიდატის

მხარდასაჭერი კომენტარების დაწერისკენ, წარმოდგენილი არ ყოფილა. მუნიციპალიტეტის განცხადებით, ყველას აქვს არასამუშაო დროის შეხედულებისამებრ გამოყენების უფლება.

ცესკო-ს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულია საჩივარი, დაწყებულია წარმოება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული იქნება წარმოების დასრულების შემდეგ.

რამდენადაც პოლიტიკური პარტია „ლელოს" წარმომადგენელი არ ესწრებოდა სხდომას, კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა სხდომებზე პოლიტიკური პარტიების დასწრებისა და მათი კომისიასთან თანამშრომლობის აუცილებლობას. მან პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში აქტიურად ჩართვისკენ, რათა კომისიას მათ მიერ გახმიანებულ ინფორმაციაზე ეფექტური რეაგირების საშუალება მიეცეს.

კომისიის სხდომებზე პარტიების დასწრების მნიშვნელობაზე ისაუბრეს „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის" თავმჯდომარემ, ბატონმა დანიელ დავითაშვილმა, და „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" თავმჯდომარემ, ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციაზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ისნის მაჟოროტარი დეპუტატობის კანდიდატ ხატია დეკანოიძის განცხადება მასწავლებელთა დაშინებისა და მათზე ზეწოლის განხორციელების შესახებ) კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განცხადება ატარებდა ზოგად ხასიათს და არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტების თაობაზე ისეთ ცნობებს, რაც კომისიას მისცემდა ეფექტური რეაგირების საშუალებას.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა, განაცხადა, რომ ინფორმაცია მართლაც ატარებდა ზოგად ხასიათს და განეკუთვნებოდა მხოლოდ პოლიტიკური განცხადების კატეგორიას. ამასთან, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტები არ დასტურდება. მისი თქმით, მათი უწყება/სამინისტრო მუდმივ კონტაქტზეა რესურსცენტრებთან და პერიოდულად აგზავნის გაფრთხილებებს ყველა სასწავლო დაწესებულებაში მათში დასაქმებული პირების საარჩევნო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირების მიზნით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ყოველი ისეთი საკითხის შესწავლის მზადყოფნა გამოთქვა, რომელიც დაეფუძნებოდა კონკრეტულ და ზუსტ ინფორმაციას.

შემდგომ ბატონმა გოჩამ კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული შემდეგი ინფორმაცია, რომელიც ეხება პოლიტიკური პარტიის „ლელოს“ ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლანა გალდავას განცხადებას. როგორც მედიამონიტორინგის ინფორმაციით ირკვეოდა, ქალბატონმა ლანამ ბრიფინგზე წინასაარჩევნო კამპანიაში ხელის შეშლის კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით ისაუბრა. მისი განცხადებით, ისნის ოლქში მის საარჩევნო კამპანიაში ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ხელისშემშლელი ქმედებები გახშირდა. მისივე თქმით, მეტრომშენის დასახლებაში მას და მისი ოფისის წევრებს ხელი შეუშალეს წინასაარჩევნო პროცესის წარმართვაში. კერძოდ, მის მხარდამჭერებს საოლქო/საუბნო კომისიაში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა საარჩევნო პლაკატების გაკვრისას მოსთხოვეს პერსონალური მონაცემები; დააშინეს ისინი, რომ ამ მონაცემებით მათი იდენტიფიცირება მოხდებოდა და მათზე ზეწოლას განახორციელებდნენ. ამასთან, ქალბატონმა ლანამ აღნიშნა, რომ გამოიძახეს საპატრულო პოლიციის სამი ეკიპაჟი („დავაფიქსირე არა მხოლოდ პატრულ-ინსპექტორები, არამედ პირები დაბურულშუშებიანი მანქანებით, რომლებიც შემდეგ ლოკაციაზე გაჰყვნენ“). ლანა გალდავას თქმით, ერთ-ერთს ხელკეტიც კი ჰქონდა მანქანაში. როგორც ქალბატონი ლანა განმარტავს, ეს არის პირდაპირი ზეწოლა მასზე და მის თანამშრომლებზე. ამასთან, ბრიფინგზე განაცხადა, რომ ყველა ეს პირი იდენტიფიცირებულია – ისინი იყვნენ გამგეობის სოციალური სამსახურის წარმომადგენლები და მეტრომშენის ზონის კოორდინატორი „ქართული ოცნებიდან“, გარდა ამისა, ქუჩის კლასტერი, რომლებიც ე.წ. ავტორიტეტით სარგებლობენ თავიანთ უბანში და ისინი ამას იყენებენ ამომრჩეველზე ზემოქმედებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტები ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან. ამასთან, ბატონმა გოჩამ მოუწოდა კომისიის წევრ უწყებებს, კვლავ შეეხსენებინათ მათ უწყებებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურებისთვის ის წესები, რომლებიც კონკრეტული საჯარო უწყების მიერ სამართლებრივი აქტის სახით არის გამოცემული საჯარო მოსამსახურეების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ეს აქტები არ არის ერთჯერადი ხასიათის, არის მუდმივი და აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შეწყვეტამდე მითითებული აქტი იქნება შეხსენება საჯარო მოსამსახურეებისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა. ამის შემდეგ ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსს, ბატონ ბექა ზეგარდელს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბექა ზეგარდელმა, „ლელოს“ წარმომადგენელ ლანა გალდავას განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე გაკეთდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან ოფიციალური განცხადება. ამასთან, მან კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია და განაცხადა, რომ ლანა გალდავას განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კატეგორიულად უარყოფს თვალთვალსა და დევნასთან დაკავშირებულ ბრალდებებს. აღნიშნული განცხადება მიმართულია სამსახურის დისკრედიტაციისა და მისი იმიჯის შელახვისკენ.

ამასთან, ბატონმა ბექამ აღნიშნა, რომ ის კონკრეტული მანქანა, რომელზეც საუბრობს ქალბატონი ლანა (ვიდეოშიც ჩანს ეს ავტომანქანა), არ ირიცხება სუს-ის ბალანსზე და მას იმ კონკრეტულ შემთხვევაში მართავდა სუს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლის მამა. ბატონი ბექას განცხადებით, ეს მანქანა მათი პირადი საკუთრებაა. რაც შეეხება ავტომობილის იქ ყოფნის საკითხს, როგორც ბექა ზეგარდელმა განუცხადა კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მამა იმყოფებოდა ნათესავის მოსანახულებლად. ამასთან, საშვს, რომელიც ავტომანქანაზე იყო, ზემოხსენებული სამსახური გასცემს არა მხოლოდ მათ საკუთრებაში არსებულ ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე, არამედ თანამშრომლების პირად საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზეც (ამას აქვს ერთადერთი დანიშნულება, რომ თანამშრომელმა გააჩეროს ავტომანქანა სუს-ის მიმდებარე ტერიტორიაზე). დამატებით ბატონმა ბექამ განაცხადა, რომ საშვის დაკარგვის ან დაზიანების თავიდან აცილების მიზნით დოკუმენტი მიმაგრებულია საქარე მინაზე და თანამშრომლები ერიდებიან მის მოხსნას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მედიამონიტორინგის დროს გახდა ცნობილი და შეეხება „ლელოს“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ანა ნაცვლიშვილის მიერ გაკეთებულ განაცხადს. ანა ნაცვლიშვილი ქუთაისში პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ კანონის უხეშად დარღვევაზე რეაგირებას მოითხოვს. იგი აქვე ამავე ოლქში „ქართული ოცნების” კანდიდატ ზაზა ლომინაძის მიერ უთანასწორო საარჩევნო კამპანიაზე საუბრობს და აცხადებს, რომ 10 ოქტომბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სეზონი გაიხსნა. პრემიერაზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი, ბილეთები არ გაყიდეს, რაც წინასაარჩევნო უთანასწორო კამპანიის ნაწილია. თეატრის ადმინისტრაციის მიერ ანა ნაცვლიშვილისათვის მიწერილ ოფიციალურ წერილში განმარტებულია, რომ „აღნიშნულ დღეს თეატრში ჩამოდიოდა პრეზიდენტი და ოფიციოზი. ღონისძიებაზე მოწვეული იყო მხოლოდ

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაზა ლომინაძე. მას, ასევე, მისცეს ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის უფლება“. როგორც ანა ნაცვლიშვილი აღნიშნავს, ეს არის არა მხოლოდ კანონის დარღვევა – ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არამედ ყველა ქუთაისელისთვის საყვარელი – მესხიშვილის თეატრის შეურაცხყოფა და კულტურის პარტიული პოლიტიკისთვის გამოყენების საბჭოთა ტრადიციის გაგრძელება. ანა ნაცვლიშვილი მოითხოვს საარჩევნო ადმინისტრაციისგან, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება „ქართული ოცნების“ კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, რაც კანონით დასჯადია.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გიორგი კალანდარიშვილს.

ბატონი გიორგის განცხადებით, ცესკო-მ საკუთარი ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება და ცესკო-ს თავმჯდომარემ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაავალა, რომ ჩაატაროს შესაბამისი წარმოება, შეისწავლოს განცხადებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნულ ინფორმაციას უწყებათაშორის კომისიას აცნობებს.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა შემდეგი საკითხი, რომელიც ეხება ფოთის, ხობისა და სენაკის „გირჩის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბორის ყურუას განცხადებას. ბორის ყურუას თქმით, მისი პოლიტიკური აქტივობის გამო მერიამ მამამისს კონტრაქტი შეუწყვიტა. აღნიშნულ ფაქტს ფოთის მერიაში უარყოფენ.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა კომისიას და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ, „გირჩის“ ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბორის ყურუას განცხადებით, მამამისის კუთვნილ კომპანია „ტოპ გრუპს“ მოგებული ჰქონდა ტენდერი ფოთის მუნიციპალიტეტში კონკრეტული ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების შესასრულებლად. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამთვიან ვადაში. ორი თვის თავზე შესაბამისი სამსახურების შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ სამუშაოების 10%-ც კი არ იყო შესრულებული და მიეცათ დამატებითი ვადა კონკრეტულ სამუშაოებზე შესაბამისი დოკუმენტაციის (ფორმა №2) წარმოსადგენად. ვადის გახანგრძლივების მიუხედავად, კომპანიამ მაინც ვერ მოახერხა სამუშაოების დასრულება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ტოპ გრუპისთვის“ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. დამატებით,

ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ კომპანიას გაეგზავნა არაერთი გაფრთხილება. მისი თქმით, აღნიშნულ კომპანიას სხვა ტენდერებიც აქვს მოგებული, მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ამ შემთხვევაშიც ვერ ასრულებს ჯეროვნად, თუმცა, მუნიციპალიტეტს ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია (ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი მიმოწერა კომპანიასთან, ეგზავნება შესაბამისი გაფრთხილებები, რომ შეძლოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება).

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს აძლევდა კითხვების დასმისა და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე სასაუბროდ თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრის“ წარმომადგენელს, ქალბატონ ანა აბულაძეს.

როგორც ქალბატონმა ანამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, ცესკო-მ „კოვიდ-19“-თან დაკავშირებით მიიღო №38 დადგენილება 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული პრევენციული წესები/ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც ევალებათ საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიებს. ქალბატონი ანას თქმით, მათი ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს საუბნო საარჩევნო კომისიებში ხსენებული დადგენილებით განსაზღვრული წესები გარკვეულწილად არ სრულდება. ამასთან, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მან განაცხადა, რომ ზემოხსენებული საკითხი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან.

„დემოკრატიული არჩევანის“ წარმომადგენელი ქეთევან გვიშიანი მის გამოსვლაში შეეხო ზემოხსენებულ საკითხს და დამატებით აღნიშნა, რომ, როცა მათი ორგანიზაციის წარმომადგენლები მიდიან საარჩევნო უბნებზე, არ ტარდება თერმოსკრინინგი, არ იყენებენ დეზინფექციისთვის საჭირო სითხეს.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა წინა გამომსვლელების საპასუხოდ განაცხადა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მაქსიმალურად ცდილობს, დაცული იყოს ამომრჩევლისა და დაინტერესებული პირების უსაფრთხოება. მისი თქმით, ზემოხსენებული დადგენილება განსაზღვრავს კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მყოფი შესაბამისი უფლების მქონე პირების თერმოსკრინინგს და, ზოგადად, პანდემიასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს. მისივე

განმარტებით, საუბნო საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია, არ ჩაატარონ თერმოსკრინინგი, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიებში მოქმედებს სხვა რეგულაციები.

ქალბატონმა მაკა ბენაშვილმა („პლატფორმა სამოქალაქო ინიციატივის საარჩევნო მისია“) სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია აქტიურად ახორციელებს საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგს. მისი თქმით, რიგ შემთხვევებში ხვდებათ დაკეტილი უბნები ან უბნები, რომლებიც ღიაა და იქ არ იმყოფება უფლებამოსილი პირი. ქალბატონმა მაკამ დამატებით უწყებათაშორის კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო პროცესზე უკეთ დაკვირვების მიზნით გაერთიანდა 10 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაგან ცხრა დამკვირვებლადაა დარეგისტრირებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამასთან, წინასაარჩევნო პერიოდში ისინი ახორციელებენ ყველა საარჩევნო ოლქზე/უბანზე მონიტორინგს. მან აღნიშნა, რომ მათი რეკომენდაციები/მითითებები მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია საარჩევნო ოლქებზე/უბნებზე, რაც მათი მხრიდან დადებითად შეიძლება შეფასდეს.

წინა გამომსვლელის მსგავსად, ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) ყურადღება გაამახვილა დაკეტილ უბნებზე და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მეტი აქტიურობა და კონტროლი მართებს ცესკო-ს ზემოხსენებული საკითხის გადასაჭრელად.

ბატონი ლევან ნატროშვილი („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) სიტყვით გამოსვლისას შეეხო რამდენიმე საკითხს. მან მიმართა კომისიას, წინა სხდომაზე განხილულ საკითხებთან (ბოლნისის და მარნეულის ინციდენტები) დაკავშირებით წარმოდგენილიყო განახლებული ინფორმაცია. ამასთან, იგი დაინტერესდა, რა რეაგირება განახორციელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო დღეებში მომხდარ ძალადობრივ შემთხვევებზე („ევროპული საქართველოსა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებზე ძალადობის ფაქტები); ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო წინასაარჩევნოდ გამოაქვეყნებდა თუ არა ანგარიშს არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ საკითხებზე. მან იქვე აღნიშნა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაცია, შეძლებს ზემომითითებული სისხლის სამართლის საქმეების სწორად ასახვას თავის ანგარიშებში. ბატონმა ლევანმა ხაზი გაუსვა, რომ, მართალია, მსგავსი საკითხები არ შედის უწყებათაშორისი კომისიის მანდატში, მაგრამ მან ამ სხდომაზე გამოიყენა შესაძლებლობა, მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის.

კომისიის თავმჯდომარემ, წინა სხდომების მსგავსად, აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებიც არ ეხება საჯარო მოსამსახურეების მხრიდან შესაძლო კანონდარღვევას, არ თავსდება ამ კომისიის

განხილვის ფორმატში, თუმცა, აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანია და ძალოვანი უწყებების მხრიდან საჭიროებს რეაგირებას. ამასთან, ბატონმა გოჩამ ზემოხსენებულ კითხვებზე საპასუხოდ სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა ბოლნისისა და მარნეულის ინციდენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ, როგორც წინა სხდომაზეც ითქვა, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული არიან კონკრეტული პირები და მათ შეეფარდათ შესაბამისი აღკვეთის ღონისძიებები. რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის სხვა საქმეებს, მისი თქმით, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას შეუძლია, მიმართოს ოფიციალური განცხადებით შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაზეც დეტალური ინფორმაცია მიეწოდება მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის მომდევნო სხდომის თარიღად გამოცხადდა 2020 წლის 21 ოქტომბერი, 11:00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს, ასევე, სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

– „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;

– ა (ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;

– ა(ა)იპ „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი.

სხდომა დასრულდა 12:18 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: გ. ლიტანიშვილი

კომისიის მდივანი: ნ. [illegible]